ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ასოცირების შესახებ შეთანხმების მონიტორინგი ტურიზმის მიმართულებით ქვემო ქართლის რეგიონში

"სამოქალაქო განვითარების
ახალგაზრდული ცენტრი"

"ქვემო ქართლის
ეთნოშორისი ერთობა"

თბილისი

2018

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციების „ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა“ და „სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“-ს მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

წინამდებარე ანგარიშის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია "ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა“ და „სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ და ეს არნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“

შინაარსი

შესავალი 3

ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის სექტორის მიმოხილვა 4

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში 5

ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის სექტორში განხორციელებული პროექტების ანალიზი 11

რეკომენდაციები 16

ბიბლიოგრაფია 17

შესავალი

ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა და მოდერნიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მიმართულებას იმ ვალდებულებებიდან, რაც საქართველოს ხელისუფლებამ იკისრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA), ასოცირების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმების, ამასთანავე ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის (2014-2021 წწ) საფუძველზე.

ასოცირების შეთანხმები მე-9 თავის მიხედვით, საქართველო და ევროკავშირი იღებენ ვალდებულებას, რომ ითანამშრომლებენ **ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით.** ეს ძალზედ ამბიციური განაცხადია და საჭიროებს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების კოორდინაციას.

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების განხორციელების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას ტურიზმის მიმართულებით ქვემო ქართლის რეგიონში და გვთავაზობს წინადადებებს გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით.

ანგარიში გვაჩვენებს, რომ იმის მიუხედევად, რომ ტურიზმის მიმართულებით ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა ზოგიერთი პროექტი, წინსვლა ასოცირების შესახებ ხელშეკრულებასა და შესაბამის დღის წესრიგში განსაზღვრული მიზნებისკენ შეზღუდული რჩება. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სექტორში განხორციელებული პროექტების მასშტაბი არ არის საკმარისი და მათ არ შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ შესაბამისი ინსტიტუციების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

გარდა ამისა, ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად მიმართულ სამუშაო პროცესში აღინიშნება რიგი ნაკლოვანებებისა: მაგალითად, განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ანალიზისა და სტრატეგიული მიდგომის არარსებობა, არასათანადო თანამშრომლობა/კოორდინირება ერთსა და იმავე აქტივობებზე პასუხისმგებელ სხვადასხვა უწყებას შორის ან თანამშრომლობისა და კოორდინირების საერთოდ არარსებობა, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა. აგრეთვე, ტურიზმის სექტორის დაკნინება, გამომდინარე ქვემო ქართლის არც ერთი მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში არაა შესაბამისი პროგრამებზე გაწერილი ხარჯები. ცხადია, რომ ეს ნაკლოვანებები ზღუდავს მიღწეული შედეგების მასშტაბს.

ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის სექტორის მიმოხილვა

ქვემო ქართლის რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე სხვადასხვა სახის ძეგლების ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. რეგიონის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვ. ქვემო ქართლში ტურისტებს შეუძლიათ იხილონ დასახლებები, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულით თარიღდება. დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენადაა მიჩნეული წინაისტორიული დასახლების და ადამიანის ნაშთების პოვნა დმანისში. ექსპერტთა დასკვნებით, დმანისში ჰომინიდი 1,8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. შესაბამისად, დმანისი ევროპისა და აზიის ყველაზე ადრეულ დასახლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მთლიანობაში, ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან **300 სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტშია შესული.**

ქვემო ქართლში ერთი კურორტი - **მანგლისი** და რამდენიმე დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღებაა შესაძლებელი. საკურორტო ზონებია **დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში**. ტურისტული ობიექტები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

რეგიონისთვის გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ქვემო ქართლის რეგიონში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღინიშნება განთავსების ობიექტების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით: 16 ობიექტი, 235 ოთახით და 554 საწოლით[1]. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ქვემო ქართლში არც ერთი სასტუმრო არ გახსნილა, ხოლო 2016 წელს გაიხსნა 1 სასტუმრო 6 ოთახითა და 24 ადგილით, მაშინ, როდესაც სამცხე-ჯავახეთში გაიხსნა 9 სასტუმრო 481 ადგილით 2016 წელს და 6 სასტუმრო 545 ადგილით 2017 წელს. ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში საოჯახო ტიპის სასტუმროებმა ჯერჯერობით სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. წალკასა და დმანისში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. ბოლნისში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო. **სექტორის მთავარ პრობლემებად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი მომსახურების დაბალი ხარისხი.**

საბოლოო ჯამში, თბილისთან ახლოს, ქვემო ქართლში, შესაძლებელია უამრავი ღირსშესანიშნაობის მონახულება და სხვადასხვა სახის ტურისტული აქტივობით დაკავება: ღვინის, არქეოლოგიური, კულტურული, აგრო, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა.

[1]წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სტატისტიკა, განთავსების საშუალებები, https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების მიხედვით, თანამშრომლობისას ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე

(a) ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილებისა და "know-how"-ს გაცვლა;
(b) საჯარო, კერძო და ადგილობრივი თემების ინტერესებს შორის პარტნიორობის შენარჩუნება, ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით;
(c)ტურისტული ნაკადების, პროდუქტების და ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობა და განვითარება.
(d) ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;
(e) ტურიზმის სფეროში მომზადება და შესაძლებლობების განვითარება, რაც მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისკენაა მიმართული; და
(f) ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის, ადგილობრივ თემებში[2].

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული საკითხები ძალზედ ზოგადია და გვთავაზობს ჩარჩო პირობებს, რაც დაკონკრეტებულია ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში 2014-2021 წლებისთვის. კერძოდ, სტრატეგიის მიხედვით მიზანი 9 დეტალურად აღწერს 2021 წლამდე განსახორციელებელ ღონისძიებებს:

[2]ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 330, http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულება/შედეგი	პასუხისმგებელი უწყება	დაფინანსების წყარო	აქტივობის შესრულება
	ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				
	კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაცია, მათი დაცვა და მოვლა (საქართველოს კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით)	ნაწილობრივ შესრულდა	შესაბამისი მუნიციპალიტეტი კულტურის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების დახმარება	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირში მდებარე ნეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლის „გადაჭრილი გორა“-ს კონსერვაციისა და ადგილზე ვიზიტორთა ცენტრის განვითარების გეგმის შემუშავება
	სათანადო ხარისხისა და რაოდენობის, სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, კემპინგის პუნქტების, განათების სისტემების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიების მოწყობის წახალისება-ხელშეწყობა	ნაწილობრივ შესრულდა		სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	
	ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო ნამდვილი სოფლის სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაქცევის ხელშეწყობა მცირე და მოშორებულ მთიან რეგიონებში, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებასთან ერთად მონადირეებისა და მეთევზეებისთვის ქოხების, რეკრეაციული პავილიონებისა და თავლების აშენების ხელშეწყობა	ნაწილობრივ შესრულდა			
	ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი ადგილობრივი გზებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა	ნაწილობრივ შესრულდა			
	მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქალაქებში, სოფლებში გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე	ნაწილობრივ შესრულდა			

	ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აბრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენებზე				
	მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დაფების მოწყობა, რათა ტურისტებს გაუადვილდეთ გადაადგილება რეგიონის ტერიტორიაზე.	ნაწილობრივ შესრულდა			
	პროგრამული ინიციატივების და მათი განხორციელების მხარდაჭერა				
	ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება (რომელიც განსაზღვრავს და დააკონკრეტებს ამ სფეროს განვითარების ადგილობრივ პრიორიტეტებს)	ნაწილობრივ შესრულდა			
	რეგიონის და მისი მუნიციპალიტეტების ჭრილში, ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა, ტურისტული ნაკადების სათანადო აღრიცხვისა და ინფორმაციის შეგროვების სისტემის შექმნის მხარდაჭერა	ნაწილობრივ შესრულდა			
	ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების (ინფრასტრუქტურა, კადრები, წარმოება, მომსახურება, კლასტერიზაცია, და სხვ.)	ნაწილობრივ შესრულდა			

	სათანადო შესწავლა და გამოკვეთა				
	ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ამ კუთხით, გარდაბნის აღკვეთილისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიების, ასევე, ალგეთის ეროვნული პარკის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა	ნაწილობრივ შესრულდა			
	ტურისტული სააგენტოების, შესაბამისი კადრების და რეგიონში ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობა; პარტნიორობის დამყარება ტურისტულ სააგენტოებთან, სავაჭრო პალატებთან და სხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან	ნაწილობრივ შესრულდა			
	რეგიონში ტურისტული მარშრუტების აღდგენა და ტურისტული ქსელის გაუმჯობესება; ქვემო ქართლის ტრადიციული ტურისტული მარშრუტების აღდგენის გეგმის (ქვემო ქართლის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მარშრუტები, დაწყებული თბილისში) და კონკრეტული ტურისტული მარშრუტების შემუშავება რეგიონში ტურიზმის მოცულობის თანაბრად განაწილებისთვის	ნაწილობრივ შესრულდა			
	ტურისტული პაკეტის ელემენტების ვიზუალური დამუშავების მხარდაჭერა, რაც შეიძლება მოიცავდეს ბუნებრივ	ნაწილობრივ შესრულდა			

	სანახაობას, რეკრეაციულ ცენტრებს, ეკოლოგიური მარშრუტებს, თავშესაფრებს, კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ეთნოგრაფიულ კოლექციებს, სახვითი ხელოვნების ცენტრებს, ტრადიციულ ფესტივალებს, ბაზრობებს და სხვ.				
	ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია; მათი რეკლამირება და მარკეტინგი ვებ-გვერდებით, ბილბორდებით, სარეკლამო ფურცლებით, ბროშურებით, ტურისტული გამოფენებით და სხვ.	ნაწილობრივ შესრულდა			
	სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარების ორგანიზება	ნაწილობრივ შესრულდა			
	ტურიზმის ეფექტური მართვისათვის, პოტენციური სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვა	ნაწილობრივ შესრულდა			
	ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც შესაბამისი პოლიტიკის შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდა	ნაწილობრივ შესრულდა			

	ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების გამოვლენა	ნაწილობრივ შესრულდა			
	მზა საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება ინვესტორებისათვის	ნაწილობრივ შესრულდა			

აქედან გამომდინარე, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზნები შეესაბამება 2010-2017 წწ. რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის მიერ დასახულ მიზნებს, ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკის ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას. ზემოაღნიშნული დოკუმენტი ცალკე პრიორიტეტად ითვალისწინებს ტურიზმის განვითარებას და მოიცავს სამ ძირითად ამოცანას:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
2. ტურიზმთან დაკავშირებით დაგეგმილი ინიციატივების ხელშეწყობას და მათ აღსრულებას:
3. ტურისტებისთვის გაწეული მომსახურების დონის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება 2014-2017 წწ ანგარიშში, ტურიზმის სექტორი ნახსენები არაა, ფიქსირდება მხოლოდ 2017 წლის 29 ივნისს, ვიდეო კონფერენციის მეშვეობით გამართული თემატური ჯგუფის „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“ მეორე სხდომის ჩატარება.

ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020-ის მიხედვით ტურიზმის სექტორი დაკონკრეტებულია, რომ შესაბამისი ქვეკომიტეტის მეშვეობით, მხარეები გაცვლიან ინფორმაციას საქართველოსა და ევროკავშირში ტურიზმის განვითარების შესახებ, მათ შორის შესაბამისი ღონისძიებებისა და საუკეთესო პრაქტიკის თაობაზე და აგრეთვე საქართველოს მხარს დაუჭერენ 2015 წელს მიღებული საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის იმპლემენტაციაში.

ქვემო ქართლის რეგიონში ტურიზმის სექტორში განხორციელებული პროექტების ანალიზი

ქვემო ქართლში სტრატეგიის განხორციელების პროცესში შესრულებული სამუშაოები 3 ძირითადი მიმართულებით ჯგუფდება: ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული პროექტები, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროექტები და უშუალოდ მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ

სტრატეგიის განხორციელების თვალსაზრისით ყველაზე ქმედითი იყო ტურიზმის ადმინისტრაცია, რომელმაც სხვადასხვა პარტნიორთან ერთად განახორციელა არაერთი აქტუალური პროექტი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

პროექტი „ღვინისგზა“ - ბოლო 3 წლის განმავლობაში გახსნილ ახალი ღვინის ტურიზმის მასპინძელი ობიექტებისთვის მოხდა საგზაო მანიშნებლების განთავსება. დამატებით მზადდება კიდევ 20-მდე ობიექტის პროექტი. აღნიშნული მარნების და ღვინის საწარმოების შესახებ ინფორმაცია შევიდა ,,ღვინისგზის'' რუკაში, მზადდება ღვინის გზის კატალოგი რომლის გავრცელება მოხდება საერთაშორისო გამოფენებზე. ქვემო ქართლის რეგიონი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში - 4 მარანი: „მარანი ბოლნური ღვინო“; „ძმების მარანი“; „შალოს მარანი“; „ერისთავის მარანი“.

ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები – განთავსდა ტურისტულად განვითარებულ ქალაქებსა და დაბებში. მასზე დატანილია ერთი მხრიდან საორიენტაციო რუკა, მონიშვნით თუ სად იმყოფები და მეორე მხრიდან ტურისტულად საინტერესო რეკომენდირებული 10 სანახავი ობიექტის ჩამონათვალი თავის აღწერილობით. ქვემო ქართლი - ბოლნისი - 2 ცალი, თეთრიწყარო -2 ცალი.

ტრენინგები – კერძო სექტორის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2016-2017 წლებში ჩატარდა 4 სახის სხვადასხვა თემატიკის ტრენინგი და საერთო ჯამში გადამზადდა 140 კაცამდე. ტრენინგები ჩატარდა ქვემო ქართლის 4 მუნიციპალიტეტში (დმანისი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული) და მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ✓ ტურიზმის განვითარების ტენდენციები და განთავსების საშუალების მართვის საფუძვლები
- ✓ აგროტურისტული ობიექტების მართვა და ოპერირება
- ✓ საბაზისო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი განთავსების საშუალებებისათვის
- ✓ გიდის უნარ-ჩვევები

გარდა ამისა, აღსანიშნავია ბოლნისის მუნიციპალიტეტში ტურზმის საინფორმაციო ცენტრის არსებობა ბოლნისი (სულხან-საბა ორბელიანის ქ. 108), სადაც მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების შესახებ, მათ შორის ბროშურები და რუკები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რაც შეეხება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებს, აღსანიშნავია შემდეგი:

კრწანისის ეროვნული ტყე-პარკის შესწავლა - დოკუმენტი შემუშავდა ორგანიზაციების - კავკასიის გარემოს დაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) და საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. დასკვნის მიხედვით, ტურიზმის განვითარების კუთხით კრწანისის ტყე-პარკის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს: კარგი ადგილმდებარეობა, მარტივად მისადგომი თბილისიდან და რუსთავიდან, მიმზიდველი ხედები, ტბებზე თევზაობის შესაძლებლობა.

წალკის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2016 – 2021. სტრატეგია შემუშავებულ იქნა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ინიციატივითა და მხარდაჭერითსაქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ. სტრატეგია სამოქმედო გეგმაში ყურადღებას ამახვილებს ინფრასტრუქტურის, ორგანიზაციულ, დამხმარე სექტორების გაუმჯობესებაზე, ისევე როგორც მდგრად ტურისტულ განვითარებასა და ადამიანური რესურსების მხარდაჭერაზე.

ქვემო ქართლის ტურისტული მარშრუტები (2017 წ) - 2017 წლის 18 მაისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა ექსპედიციები, რომელიც მიზნად ისახავდა შიდა და ქვემო ქართლის მხარეში წინასწარ შერჩეული 62 სამთო–სამფეხმავლო, ასევე რეგიონში არსებული ტურისტულად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე კურორტებისა და საკურორტე ადგილების მიმდებარედ დამატებით მინიმუმ 2 პოტენციური ერთდღიანი, ნახევარ დღიანი და 2-3 საათიანი საფეხმავლო მარშრუტების კვლევას. შეგროვილი მასალების საფუძველზე მომზადდა მარკირების პროექტი, ასევე თითოეული მარშრუტის, მუნიციპალიტეტის და რეგიონის რუკები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მარშრუტების აღწერა:

ერთდღიანი მარშრუტები:

- ჩხიკვთის სამების მარშრუტი
- წალკა - დაშბაში
- ხცისი - ნათლისმცემლის მონასტერი
- ამამლო - მამიშლო
- კუმისი - კუმისის კოშკი

ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივ გამყოლებთან ერთად გაიარეს თითოეული დაგეგმილი მარშრუტი, სადაც მათ განახორციელეს: ტურისტული ობიექტების იდენტიფიცირება და აღწერა, ტურისტული მარშრუტების ოპტიმალური სვლა-გეზის დადგენა და ბილიკების დივერსიფიკაცია, თითოეული მარშრუტის აღწერა, მარშრუტების GPS კოორდინატების აღება. გადაღებულ იქნა მარშრუტების ფოტო–ვიდეო მასალა. მომზადებული იქნა ბილიკების რუკების ფაილები (თითოეული მარშრუტის, ცალკეული მუნიციპალიტეტების და ერთიანი რეგიონის).

ყოველი მათგანისთვის შემუშავდა მარკირების პროექტი, რომელიც მოიცავს:

✓ საინფორმაციო დაფებისა და მანიშნებლების დიზაინს შესაბამისი ნახაზებით, მოცულობებით და მასალით (დიზაინი წინასწარ შეთანხმებულ იქნა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან);

✓ დაფებისა დანიშნულების განთავსების კოორდინატებს;

✓ დაფებისა და მანიშნებლების კოორდინატები დასმულია თითოეული მარშრუტისთვის შესაბამის საპროექტო რუკაზე;

✓ დაფებისა და ნიშნულების მასალის აღწერას - მანიშნებლის მასალის გათვალისწინებით, შემდეგი მახასიათებლებით: ანტივანდალური, გამძლე, ანტიკოროზიული და ატმოსფერო მდგრადი;

✓ დაფებისა და ნიშნულების დამონტაჟების პირობებს;

✓ დაფაზე დასატანი ინფორმაციის მოცულობას და შინაარსს;

✓ დაფებისა და მანიშნებლებისთვის ბოძის დიზაინს, შესაბამისი ნახაზებით, მოცულობებით, მასალებითა და მისი დაყენებისათვის საჭირო სამონტაჟო სამუშაოების ტექნიკურ აღწერილობას.

გარდა ამისა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელდა ინფრასტრუქტურული თუ ტურიზმის მხარდამჭერი ზიგიერთი ინიციატივა, მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი მირში მდებარე ნეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლის „გადაჭრილიგორა“-ს კონსერვაციისა და ადგილზე ვიზიტორთა ცენტრის განვითარების გეგმის შემუშავება;

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით კონფერენციის გაიმართა, სახელწოდებით „ტურიზმი – ადგილობრივი განვითარებისთვის.” კონფერენციის მიზანია ტურიზმის სფეროში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო პროექტების განხორციელება, ტურიზმის განვითარებას რეგიონებში, ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურისტული ადგილების, და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, განახლებული ცენტრალური პარკის მოწყობა. პროექტი გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მისი ჯამური ღირებულებაა დაახლოებით 300 ათას ლარს შეადგენს, რომელიც მანგლისის ცენტრალური პარკის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

წალკის მუნიციპალიტეტში

– მოასფალტდა დაშბაშის კანიონამდე მისასვლელი გზა; დაშბაშის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო მინი სტადიონი, დამონტაჟდა გარე განათება და ფანჩატურები.

- მოასფალტდა სოფ. ბერთამდე მისასვლელი გზა და სოფ. ბერთაში გაკეთდა ავტოსადგომი.
- მოეწყო ტურისტული საინფორმაციო დაფები და მოხდა ტურისტული მარშრუტების მარკირება.

გარდა ამისა, გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით - გერმანული კულტურული მემკვიდრეობის (დაბა თრიალეთი, ასურეთი, ბოლნისი) - ქუჩის მოპირკეთება, ფრაგმენტის აღდგენა;

ალგეთის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ცენტრის გახსნა და - მანგლისისა და დაშბაშის კანიონისშესწავლა;

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ბროშურის მომზადება, მათ შორის, გარდაბანსა და თეთრწყაროს ბროშურა.

ა.წ. 2018 წლის 27 აპრილს, ქვემო ქართლის ტურისტული პოტენციალის შესახებ ფორუმი მოეწყო, სადაც რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ იმსჯელეს. ფორუმის ფარგლებში მოეწყო ალგეთის ეროვნული პარკის პრეზენტაცია, რომელიც ვიზიტორებს მაისიდან უმასპინძლებს. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ და ქვემო ქართლის მხარის გუბერნატორმა, გრიგოლ ნემსაძემ.

ზემოაღნიშნული პროექტები ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესრულების მიმართულებით გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, ტურიზმის სექტორში განხორციელებული პროექტების მასშტაბიამ ეტაპზე არ არის საკმარისი და მათ არ შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ შესაბამისი ინსტიტუციების წინაშე მდგომ გამოწვევებს. უფრო მეტად შესრულებულია რეგიონის განვითარების სტრატეგიის პუნქტები, ხოლო ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების შეფასება რთულია, ვინაიდან კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში არაა წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორები.

გარდა ამისა, ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად მიმართულ სამუშაო პროცესში აღინიშნება რიგი ნაკლოვანებებისა: მაგალითად, განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ანალიზისა და სტრატეგიული მიდგომის არარსებობა, არასათანადო თანამშრომლობა/კოორდინირება ერთსა და იმავე აქტივობებზე პასუხისმგებელ სხვადასხვა უწყებას შორის ან თანამშრომლობისა და კოორდინირების საერთოდ არ არსებობა, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმის არ არსებობა. აგრეთვე, ტურიზმის სექტორის დაკნინება, გამომდინარე ქვემო ქართლის არც ერთი მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში არაა შესაბამისი პროგრამებზე გაწერილი ხარჯები. ცხადია, რომ ეს ნაკლოვანებები ზღუდავს მიღწეული შედეგების მასშტაბს.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემო ქართლის რეგიონის ტურისტული პოტენციალი ეფუძნება ტურისტული მიმართულების შესახებ ცნობადობის გაზრდასა და ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებას, უფრო კონკრეტულად კი საჭიროა:

- ✓ ტურიზმის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება
- ✓ კოორდინაციის ზრდა სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით
- ✓ ყველა მუნიციპალიტეტის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა, მათ შორის:
- – მარშრუტების მარკირება
- – ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან სადემონსტრაციო დაფების მონტაჟი
- – საოჯახო სასტუმრო სახლების განვითარების ხელშეწყობა
- – განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის ნიშნულების სისტემა
- – ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია
- – ადგილობრივი პროდუქციის კომერციალიზაციის მიზნით ბაზრობებისა და სავაჭრო ადგილების მოწყობა/განახლება
- – ტურისტული საინფორმაციო ცენტრების დაარსება

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს მთავრობა, *ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2016 წლებისთვის*, თბილისი, 2013 წ.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, თბილისი, 2017.
3. საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია, *წალკის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2016-2021 წლებისთვის*, თბილისი, 2015.
4. კავკასიის გარემოს დაცვითი ორგანიზაციების ქსელი (CENN), საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია, *კრწანისის ტყეპარკი*, თბილისი, 2017.
5. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, *საქართველო-ევროკავშირისასოცირებისშესახებშეთანხმებისადაასოცირებისდღისწესრიგისგანხორციელება2014-2017,* თბილისი, 2017.
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია, *შიდადაქვემოქართლისმხარისტურისტული მარშრუტები*, თბილისი, 2017.
7. საქართველოს მთავრობა, *საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია*, თბილისი, 2010.
8. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, https://gnta.ge/ge
9. საქართველოსტურისტულიმარშრუტები, https://www.google.com/maps/d/u/0/viewer?mid=1n2sp-gOL_gWYIh2z0bQX5s48d4U&ll=42.02713914284086%2C44.04934306249993&z=7
10. ევროკავშირსადასაქართველოსშორის 2014 წელსდადებულიასოცირებისშეთანხმება, http://asocireba.ge/show_article.php?id=30
11. ანგარიშისაქართველოსმიერასოცირებისპროცესისგანხორციელებისშესახებ, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2nd_georgia_association_implementation_report_2017-11-10_ge_0.pdf